№ 236 ნოემბერი 5, კვირა 1889 ნოემბერი 5, კვირა № 236

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

1890 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი და თითო წიგნში იქნება ოთხი-დამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80 მდეგვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში" დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობისა და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, ამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით და მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, №102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"*.

(2—2) რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

## წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 5, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1889—1890 წლისათვის და

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 7 ნოემბერს,
ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაგრატ IV**

ისტორიული დრამა 4 მოქმედ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის თეატრის არტისტი ბ-ნი სვიმონიძე.

II

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი 1 მოქმედ. კ. ყიფიანისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნი გუნია, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 4 ნოემბერი

ძლივს მოვესწარით, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა „Новое Обозрѣніе"-მ მოიცალა ჩვენთვისაც მრავლად რთული და მძიმე საქმეებისაგან, ძლივს იცადრა და ხმა ამოიღო „Сѣв. Вѣстникъ"-ში დაბეჭდილ Письма о Грузіи-ს თაობაზედ. იკადრაო, ვამბობთ, იმიტომ-რომ ამ ყურ-მახვილს და გონება-ფხიზელს გაზეთს არ უყვარს რაღაც დაობებულ საგნებზე ლაპარაკი. იგი უფრო მწვავს და უფრო დღევანდელ საჭირ-ბოროტო საქმეებზეა თავ-დადებული, როგორც, მაგალითებრ, ბაქოს ნავთი და ბაქო-ბათუმის რკინის გზაა და ხავს-მოკიდებული წარსული საქართველოსი-კი, რომელიც ხსენებულ წერილებს საგნადა აქვს, მიუნებებია სადეჭად და საცოხნელად იმისთანა გაზეთებისათვის, როგორიც ჩვენი უბადრუკი, უფხო და მკვდარი „ივერიაა", ან იმისთანა წვრილ ფეხობისათვის, როგორიც ჩვენი ჭკუა-მოკლე და გონება-მიხდილი ინტელიგენციაა.

ვამბობთ, ხმა ამოიღო, მაგრამ ვაი ამ ხმის ამოღებას!.. «Новое Обозрѣніе» არც აქ ასცდენია თავისებურ თავ-მოწონებას. როცა თავიდამ ბოლომდე ჩაიკითხავთ გუშინწინდელს მის მეთაურს, სამოთხს სვეტზედ გაპტყელებულს და გაჭიანურებულს, მარტო ეს-და გრჩებათ გულსა და გონებაში: ავტორიც Письма о Грузіи-სა სულელი ყოფილა, მის მიერ გულ-ამღვრეული და გულზედ მოსული ქართველთა ინტელიგენციაც და თუ ჭკუა გინდათ, მარტო „Новое Обозрѣніе"-ს რედაქციაში მონახეთო. სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მარტო ეს შევკრჩა იმ გძელ მეთაურისაგან.

რასაკვირველია, პირდაპირ ეს არ არის თქმული. სიტყვა „სულელი" ხმარებული არ არის არც Письма о Грузіи-ს ავტორის დასაშვენებლად და არც ქართველთა ინტელიგენციის თავ-მოსაწონებლად და სანუგეშებლად. აბა ყოველთვის მართებული და ზრდილობიანი «Новое Обозрѣніе» რად იკადრებდა ეხმარა წერილში ამისთანა უმართებულო სიტყვა. მაგრამ განა არ შეიძლება თქმაშიაც ოსტატობა იყოს? განა არ შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო-კი გვაკვირვებდეს? ძაღლსა სცემდნენ და რძალს ასმენდნენ ხომ გაგონილი გვაქვს, სხვა არა იყოს-რა.

საკვირველია! საქმე იმაზეა აქ შემდგარი, რომ Письма о Грузіи-ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს, ჰქლამის ვირზედ პირ-უკუღმა შესოს და კუდი ხელში დააჭერინოს ამ აქამდე ქართველთაგან თაყვანცემულს კაცს და ჩვენი ინტელიგენცია, «Новое Обозрѣніе»-ს სიტყვითვე, ამაზედ გამწარებულა და გამოსარჩლებია საწყალს შოთას და მის უსაბუთოდ გაუპატიურებას უკადრისობს, ჰთაკილობს. ამ წრეში, ამ მიჯნებში ჩაყენებული საქმე მარტო იმას ჰთხოულობს, რომ გადაწყვეტილ იქმნას ვინ არის აქ მართალი და ვინ მტყუანი, ვინა ჰსულელობს აქ და ვინ არა და „Новое Обозрѣніе"-კი გამოსულა და იძახის: ერთიც ტყუის და მეორეც, ერთიც ჰსულელობს და მეორეც და ამავე დროს წარბ-შეუხრელად თითონვე ესარჩლება რუსთაველს და გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი დიდი და სახელოვანი კაციაო. აი ამასა ჰქვიან, გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესაო. აი ამასა ჰქვიან, ოსტატობა და ხერხი ლაპარაკისა, აი ამასა ჰქვიან—ერთსა და იმავე დროს კაცმა თვალი უყოს მგმობელსაც და მოსარჩლესაც, მტერსაცა და მოყვარესაც, შორეულსა და მახლობელსაც ერთმანეთზე წასაქეზებლად. მართლადა განა გასაშტერებელი ოსტატობა არ არის, რომ ერთსა და იმავე დროს ერთმა და იმავე კაცმა რუსთაველის მგმობელსაც უთხრას, რომ რუსთაველის მოსარჩლე სულელია, მოსარჩლესაც უფიცოს, რომ სულელი მისი მგმობელია, და ამავე დროს თითონვე ესარჩლებოდეს რუსთაველსა და აინუნშიაც არ მოსდიოდეს, რომ აქ სამს საგანს, ერთმანეთთან შეუწონელს და შეუფერებელს, ერთმანეთის გამომკლებელს, ბურთსავით ხელში ათამაშებს.

გვეტყვიან სარჩლიც არის და სარჩლიც. შესაძლოა კაცი კაცს სულელურადაც გამოესარჩლოს და ჭკვიანურადაც. ეგ ჭკუა-მახვილობასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. ჩვენც სწორედ აქა ვართ. აკი მოგახსენეთ, რომ «Новое Обозрѣніе» ჭკუის საპოვნელად თავის რედაქციაში ეპატიჟება ხალხს. იგი თავის მეთაურით, ასწავლავს რა ინტელიგენციას, ეუბნება, სარჩლი თქვენებრ სულელური-კი არ უნდა, აი როგორი და რა გზით უნდაო და მაგალითისათვის ანბანს უკითხავს ქართველთა ინტელიგენციას, მერე იმისთანა ანბანს, რომელიც დღეს ბავშვსაც-კი ენაზედ აკერია და თავ-მოწონებულს „Новое Обозрѣніе"-ს-კი ახალი ამბავი ჰგონია საზოგადოდ და ჩვენის ინტელიგენციისათვის ცალკე.

„Новое Обозрѣніе" ასე იწყებს თავის მეთაურს:

> Въ грузинскомъ обществѣ смятеніе нашелся „нечестивецъ", усомнившійся въ самобытности и оригинальности Шота Руставели, творца „Барсовой кожи". Сомнѣнія свои сей заалазанскій Геростратъ изложилъ—о, ужасъ—на русскомъ языкѣ и предалъ тисненію въ либеральномъ „Сѣверномъ Вѣстникѣ" подъ заглавіемъ Письма о Грузіи.

საკმარისია კაცმა ყური ათხოვოს მარტო სამს გამონათქვამს ამ ციტატისას, სახელდობრ, „нечестивецъ", „сей заалазанскій Геростратъ" და „о, ужасъ"—რომ უეჭველი აზრი გამოიხასკვოს მასზე თუ—ასე დაწყებული გძელი წერილი რითი გათავდება ბოლოს და ბოლოს. ჩვენის ფიქრით, დანარჩენს გადაკითხვაც არ უნდა. თვითეული აზრი, აქ მოჭრით გამოთქმული, ხსენებულ მეთაურში მარტო გაპტყელებულ - გაჭიანურებულია და ხელ-მეორედ გაზეზილ-გადაზეპირილი აჰაკრიალებულად.

„Нечестивецъ" თავის თავად საამური სიტყვა არ არის. მაგრამ როცა იგი განსაკუთრებულ ნიშნებით შემკულია, როგორც ხსენებულ მეთაურში, და როცა ამასთანავე ზედ დაატანენ, რომ შენ ამას გეძახიან იმიტომ-კი არა, რომ მართლა უწმინდურება რამ ჩაგედინოს, არამედ იმიტომ, რომ გაჰბედე და არა გჯერა ყველასაგან აქამდე უკვე დაჯერებული, ეგ უამური სიტყვა საქებურად მისაღებია, ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ყოვლად უსაბუთო უჯერობაც-კი გენიოსობას და თავ-გაწირულ ვაჟკაცობას მოასწავებს ჩვენის ბუღვარის აკადემიის თვალში. თუნდ ესეც არ იყოს, დასაბუთებულ ეჭვის ღახტით შერყევა იმისი, რაც ყველას ხელზედ დახვეული აქვს, ვითარცა უცილობელი ჭეშმარიტება, მართლა რომ საქებური გაბედულობაა და სასახელო სამსახური. უმეცარნი და ჭკუა-ბნელნი ამისთანა კაცს, ვითარცა შემარყეველს მათ მიერ ჭეშმარიტებად ნარწმენისას, „нечестивецъ"-ს ეძახიან და ეს სიტყვა რუსულს ლიტერატურაში ხშირად ხმარებულია სანუგეშოდ გამბედავ მეეჭვისა და დასაცინლად უმეცარ და ჭკუა-ბნელ მოსარჩლისა. აბა მართლა და ტვინთხელა და ჭკუა მოკლე კაცის მეტი ვინ ვის უწოდებს „нечестивецъ" მარტო იმისათვის, რომ ეჭვის თვალით სჩხრეკს ყოველს საძიებელსა, გამოსაკვლევსა. თითონ ჩხრეკა და კვლევა ეჭვისაგან მოივლინება, თორემ უეჭველს რაღა ჩხრეკა და კვლევა უნდა?

ამ სახით ეგ სიტყვა „нечестивецъ" ამ შემთხვევაში ნუგეშ-საცემი, ქებად მისაღები სიტყვაა ჩვენის Письма о Грузіи-ს ავტორისათვის. ხოლო მეტის - მეტად თავი რომ არ მოიწონოს და არ გაიზვიადოს ერთის მხრით ავტორმა და მეორეს მხრით არ იწყინოს ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც—რა თქმა უნდა—მარტო უმეცრების და ჭკუა ბნელობის გამო „нечестивецъ"-ს ეძახის გაბედულს მეეჭვეს,—„Новое Обоз." აქვე სასაცილოდ იგდებს თავის მიერვე ქებულს და ნუგეშ-ცემულს ავტორს „Письма о Грузіи"-სას, სდებს რა ალაზანგაღმელ ჰეროსტრატეს სახელსა. ხომ ჰხედავთ, რა გასაშტერებელი ამბავია. ერთს ანუგეშებს, რომ მეორე უმეცრებით „нечестивецъ"-ს გეძახის იმისათვის, რაც საქებურია, და მეორეს ეუბნება, რომ მართალი ხარ, ეგ ალაზანგაღმელი ჰეროსტრატეა, რომელმაც—(ბერძენთა ჰეროსტრატემ და არა ალაზანგაღმელმა)—ერთს დიდსა და სახელოვანს ტაძარს ცეცხლი წაუკიდა მარტო იმისათვის, რომ ქვეყანაზედ ამით მაინც დარჩება, ამით მაინც გაითქმის ჩემი სახელიო. მეტი ოსტატობა-ღა გნებავთ, რომ კაცმა თავის ნებით საგანი აიღოს ჰქოსა, თუ არას სათქმელად და არც ჰქო სთქვას და არც არა, ან ჰქოცა და არაც ერთსა და იმავე დროს იძახოს? მეტი ოსტატობა-ღა გინდათ, კაცმა განგებ ცეცხლი გააჩაღოს, გაადუღოს, შიგ მწვადი ჩასდოს და არც მწვადი იწოდეს და არც შამფური? ერთს მეორით ანუგეშებს, აქეზებს, მეორეს ერთითა და ორივე ერთად-კი სულელებად გამოჰყავს. ოსტატობა არ არის, მარა ეშმაკია.

ეს კიდევ არაფერი: სიტყვას „о, ужасъ"-ს დაუკვირდით. ამით რა ჰნებავს ეთქვა Новое Обоз.-ს? ვინ ужасъ-ობს, რომ ავტორს Письма о Грузіи-სას რუსულად დაუწერია თავისი წერილები? ვისთვის რა саужасъ-ოა ეს ამბავი? ან აქ რა ჭკვად-მისაღები მიზეზია ужасъ-ობისა ვისგანმე და ვისთვისმე? ან ამ ужасъ-ობასთან რა მოსატანია რუსული და რუსულად წერა? მითამ ვის გაჰკრეს და ვის გაჰკინწლეს ამით? არ ვიცით, რისთვის და ვისთვის არის წამოტყვრენილი ეს უადგილო სიტყვა? არ ვიცით,—ვის უმიზნებს „Новое Обозрѣніе" ამ ფრთოსანს ისარს მაშინ, როდესაც მშვილდსა ჰმალავს და ესკი ვიცით, რომ ახლო სცემს და თავის ადგილს მივა. საწყალი ქართველები! ნეტა ვის რა გველი შეუწვეს!..

სადღეისოდ ესეც კმარა, დანარჩენი შემდეგისათვის გადავსდოთ.

## ახალი ამბავი

*** ამ თვეის 2 ტფილისის ბლაღოჩინმა მ. სოლ. შოშიაშვილმა შეკრიბა სამღვდელონი და სთხოვა მო-

ილაპარაკეთ საერთოდ, რა ღონით გაუკეთესდეს ტფილისის ეკკლესიებში საეკკლესიო გალობაო. სასურველია, რომ ყველა ეკკლესიის დიაკვნებმა, რომელთაც ქართული გალობა არ იციან და თავიანთის უვარგისის გალობით მლოცველებს უკარგავენ სასოებას, ისწავლონ რიგიანი გალობა და ხოროთი სამ-ხმაზედ იგალობონ ხოლმე ეკკლესიაშიო. კრებას მოეწონა ბლაღოჩინის აზრი, მოილაპარაკა ამ საგნის შესახებ ამოირჩია მღვდ. მოლოდინოვი და კარბელაშვილი და დაავალა ასწავლონ ტფილისის დიაკვნებს საეკკლესიო გალობა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა პატარა სუფთად დაბეჭდილი წიგნი „დახასიათებანი, თქმული თეოფრასტეს-მიერ, გადმოღებულნი და გამოცემულნი ინკანისაგან“. თეოფრასტე იყო ძველი საბერძნეთის ნიჭიერი სატირიკოსი. მრავალ ნაწერ შორის ჟამთა ვითარებას გადარჩა თითქმის მარტო ზემოხსენებული „დახასიათებანი“, ანუ გამჟღავნება და აღწერა სხვა-და-სხვა გვარის ბიწიერებით შეპყრობილის კაცისა. ამ გვარი აღწერა სულ 30. პირველს ეწოდება «შეძლვნა» და მერე რიგ-რიგად მისდევს: პირ-მოთნე, მლიქვნელი, ენა-ჭარტალა (ჭორიკანა), როყიო (თუ ბრიყვი, უზრდელი?), მელა-ძუა, უზნეურა, ყბედი, ცრუ-პენტელა, უნამუსო, ძუნწი და სხ. ყველა ამ პატარ-პატარა წერილში დიდის ნიჭიერებით აღწერს თეოფრასტე იმ ხასიათების კაცებს, რომელთა სახელებიც ზემოდ ჩამოვთვალეთ. თეოფრასტეს თხზულება ახლად გადმოსთარგმნა ბერძნულიდამ რუსულად ალექსეევმა და შარშან დაბეჭდა რუსულს ჟურნალში: „Пантеонъ Литературы“. ქართულს თარგმანს არა უშავს-რა, საკმაოდ ადვილი საკითხავია. ფასი ერთი აბაზი აქვს.

⁂ იბეჭდება და ამ თვეში გამოვა ვრცელი საქართველოს კალენდარი 1890 წლისა, შედგენილი ვ. გუნიას მიერ.

⁂ „ბავშთა მფარველ საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრთ კრება სამშაბათს ექნებათ საბჭოს დარბაზში. ეს კრება ორშაბათს უნდა ყოფილიყო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან ეს დარბაზი თავისუფალი არ იქნება.

⁂ ამ თვის 9 ველაბარში, წმ. მარინეს ეკკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში, დანიშნულია კრება მრევლისა. მრევლმა უნდა დააწესოს ამ კრებაზე საეკკლესიო - სამრევლო სამზრუნველო როგორც ეკკლესიისა, ისე სამრევლო სკოლის საქმეთა ყურის საგდებლად.

⁂ კახეთი: ახალ მანეთიანებს აქაური ჩარჩები და ვაჭრები თუმნიანებად ასაღებენ. უმეცარის ხალხის ამისთანა მოტყუების გამო უკვე ორი საქმეა შემდგარი თელავის სასამართლოში. ამბობენ, რომ ასევე ატყუებენ ვაჭრები ფშაველ გლეხ-კაცობას თიანეთის მაზრაშიო.

⁂ თელავი: 29 ღვინობისთვეს თელავის საზოგადოება, ანუ მოქალაქენი მესამედ შეიკრიბნენ და ახლა ძლივს აირჩიეს ადგილი, სადაც უნდა აშენდეს ნიში ხელმწიფე-იმპერატორისა და იმის სახლეულობის სასწაულებრივის გადარჩენის მოსაგონებლად. ორს ადგილს დაადო ხელი ხალხმა: ერთი ადგილია სომხის ეკკლესიის ახლოს, ხოლო მეორე ბულვარის პირში. ბოლოს, ბევრის ლაპარაკის შემდეგ, უკანასკნელი ადგილი აირჩიეს.

⁂ 3 ნოემბერს ტფილისის პალატის ბუხგალტერის ცოლმა იულია ტიშჩენკომიშჩენკომ იტალიის სასტუმროში თავი მოიწამლა ფოსფორის წუმწუმით. მოწამლულის გვამი გაგზავნილ იქმნა მიხეილის საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

საქართველოს მშვენიერი ბუნება მძვინვარებს, ცა ცხარე ცრემლითა სტირის, სტირის-კი არა, კოკი-პირულად გვილევრება თავზედ წყალი და ტფილისელებიც მიიმალ-მოიმალნენ სახლებში. შეშამ ფასი მოიმატა, ბუხრებში ბოლი გაიძაბა და ადამიანიშვილს თავზედ ქოლგა წამოეხურა და ფეხზედ კალოში ამოეფარა. ვართ ასე შეკრულ-შებოჭილი და გავყურებთ წარბ-შეკრულს, წამოქუფრუხულს ცას, რომელზედაც ღრუბლები ზვიადად და მედიდურად მიიკლაკნებიან. ქუჩებში ისეთი წიაღვარი სდგას, რომ ან ნავით უნდა გახვიდე, ან ძუარა შეჰკრა და ისე გასცურო. თუ ვერც ერთი მოახერხე და არც მეორეს უნარი გაქვს, ვაი შენ და კვლავ ვაგლახი, წახვალ და წახვალ უძიროთ უფსკრულში. დასველებას ვინა სჩივის, ისე ამოითუთხნები ტალახში, როგორც თათარაში ახლად ამოვლებული ჩურჩხელა.

აჩირებულად-კი აკეთებენ, კაცმა მართალი რომ სთქვას, ამ ჩვენს ქუჩებს: თავში რომ მაღლობია და მთელი გორაკი სდგას, დაბლა ისე დაუწევია დედამიწას, რომ მთელი ტბა მოთავსდება, თითქო ქუჩის თავსა და ბოლოს უჭიდავნიათ, ერთს დაუმარცხებია, თითონ ზემოდგან წამოსჯდომია და მტერი-კი ქვეშ მოუქცევიაო. მაინც ეს ჩვენი ტფილისი ჭიდაობის მოედნად არის გადაქცეული. ვინ არა ჭიდაობს ეხლა და რა არა ჭიდაობს: ჭიდაობს ესებუა და ალთი-ბილუღი, ფორკატის საოპერეტო დასი და ოპერის თეატრი, ყოროღანოვი თავის ცხენის რკინის გზით და „უსახელო საზოგადოება“ ცხენის რკინის გზისავე, მტკვარი და ავჭალის წყალი, ქალაქის გამგეობა და ექიმი ფინკელშტეინი.

ამდენს მოჭიდავეებში, რაღა თქმა უნდა, ყველაზედ კარგი ადგილი ისევ ტფილისელს უჭერია. სდგას ეს ტფილისელი და გულ-გრილად შესცქერის ხან ერთს მებრძოლსა და ხან მეორეს. ფორკატი და არტისტიული საზოგადოება ტყავიდგანა ძვრებიან, რომ თავისკენ მიიზიდონ ხალხი, მაგრამ ტფილისელი-კი ყურსაც არ აპარტყუნებს და ყურადღებასაც-კი არ აქცევს ამ ორ გოლიათის კუნთების ჰიმვასა და წელში გრეხას. აჩირებულს არტისტებს-კი მოუყარა თავი ამ არტისტულმა საზოგადოებამ, საზაფხულო თეატრის სცენაზედ სწორედ ბაბილონის გოდოლის აშენების დროს მომხდარი ენათა შერევაა: ერთი რომ რუსულად გაჰკივის, მეორე იტალიანურად აძლევს პასუხს და მესამე-კი ორივეს ფრანგულს ენაზედ ეუბნება ბანს. აბა «ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო», რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, აი!..

⁂

ყველაზედ საინტერესო კამათი, ბრძოლა და ჭიდილი-კი ისევ მტკვარსა და ავჭალის წყალსა და ქალაქის გამგეობასა და ექიმს ფინკელშტეინსა აქვთ. თუ ამ ექიმის სიტყვა ვირწმუნეთ, ჩვენს პატივცემულს ქალაქს ავჭალის წყლის გამოყვანით «ვირი უყიდნია, ვირი გაუყიდნია» და ამ ვაჭრობაში-კი ტყუილად შრომისა და ჯაფის გარდა არა დარჩენია-რა. არა, კარგი არ არის, თავზედ წყალი გვესხმის, კანჭებამდე წყალში ვართ, ტფილისი ორად აქვს განაწილებული უშველებელს მდინარეს, საქართველოს ბევრის ჭირისა და ბოროტის მნახველს, მამულიშვილთა წმინდა სისხლით ბევრჯელ გაბროწეულისფერებულ-ტალღებიანს მტკვარს, და ჩვენ კიდევ ავჭალაში გავრბივართ წყლის წამოსაღებად, პირშიაც აღარ ვუშვებთ ჩვენს ტურფა კურიუსს.

ეხლა მდორედ მოიქნევს ტალღებს საბრალო მტკვარი და დაჩაგრულის კილოთი მოჰდუდუნებს:

— უწინ ამბობდნენ, ყველაფერს ბედი უნდა, ბედი მომეც და სანახვეზედ გადამაგდეო. ეხლა-კი ქვეყანა განათლდა, რაღაც ბედ-სა ძველებურად აღარავის არა სწამს-რა, თუმცა-კი ამ მხრით ქვეყანას არც ფერი უცვლია და არც იერი. ბედმაც მოდას მიჰბაძა და მხოლოდ სახელი იცვალა, ისე, როგორც ყოველმა სხვამ: გაწიწმატებამ აჟიტაცია დაირქვა, განათლებამ — ცივილიზაცია, ჯარის წვრთნამ—ფორტიფიკაცია, ლექსების წერამ—ვერსიფიკაცია, სიყალბემ—ფალსიფიკაცია და ბედმა—პროტექცია. ქალაქის გამგეობა ბედად გადაექცა ავჭალის წყალს, პროტექცია გაუკეთა და ეხლა შორიდგან მოტანილში ფულსაც იხდიან, მე-კი აქვე ცხვირ-წინ მოვმდინარებ და ზედაც არავინ მაფურთხებს. დიაღ, ყველაფერი პროტექციაზედა ჰკიდია, პროტექცია მომეც და სანახვეზედ გადამაგდე! თუ არა-და, რაზედ მანაცვალეთ ავჭალის წყაროებს. თუ ჩემს წყალში მარილეულობა იპოვებოდა, ის უარესია, მე თუ ბაქტერიები მომქონდა, ის წყაროები ხომ ბუდედ და ბუნაგად გადაქცეულა ამავ ბაქტერიებისა. მართლაც-და თუ ექიმს ფინკელშტეინს დავუჯერეთ, ეს მილის წყალი სწორედ ავჭალის წყაროების პროტექცია გამოდის და სხვა არაფერი. თუ არ ეს, მაშ რაზედ ვანაცვალეთ ერთი მეორეს, ერთი რად დავჩაგრეთ, მივივიწყეთ და უკუ ვაგდეთ და მეორე რად ავამაღლეთ, ფასი დავდეთ, თავზედ დავისვით და გავიბატონეთ! ერთი მუქთად გვაძლევდა თავისს წყალს, გვერდით გვყავდა, მეზობლად, და მეორე-კი, ისეთივე, ოცის ვერსიდგან წამოვიღეთ და ფულსაც ვაძლევთ. მოდი-და ნუ ეტყვი ჩვენს ქალაქის გამგეობას, რომ

ცუდსა მეთევზეს შერჩება
უბრალოდ წყალთა მღვრევანი.

ორ-ანი

## უცხოეთი

გერმანია. მთავრობამ შეადგინა პროექტი კანონისა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ და წარუდგინა რეიხსტაგის ეხლანდელს სესიას. ამ კანონ-პროექტის გამო დიდი ლაპარაკი ასტყდა რეიხსტაგში. მთავრობის მომხრე დასნი და მათი ორატორები მინისტრებითურთ გამწარებით იცავენ და იფარავენ პროექტს, ხოლო მოწინააღმდეგენი არა ნაკლების გაცხარებითა და მხნეობით ებრძვიან ამ ახალს კანონს, რომელიც უფრო უკანონობაა, ვიდრე კანონი; უკანონობაა იმიტომ რომ განსაკუთრებულია, სხვა

## ფელეტონი

ნატვრა

კლდე უნდა იყო, სალი კლდე—
მიწავ, რადა ხარ ფხვიერი,—
რომ ვერა სთხრიდეს საფლავებს
ქარჩით მოხუცი ხნიერი.
რატომ არ ვისგან იძლია
შენი სამეფო ძლიერი?
არ იქნა, ლეშით არ გაძღა
ეგ შენი ხახა მშიერი?
რამდენი კენჩხა გამოჰხარ,
რამდენი მკლავი ძლიერი;
რამდენი სახე ქალისა,
ელვა—მთათ შუა რეული,
თვალები —მთვარე მომწყდარი,
წყვდიადში გამორეული;
წელია დილის მზის სხივი,
ვარდებში ჩამორეული.
იმასაც ამას უპიროზ,
ვინც მე მინათებს ღამითა?
ვისთვისაც სიცოცხლე მწყურან
ამ ბეჩაურის ჟამითა,
დაჰშალო, დაანაწილო
ძვლები და ლეში კანითა?!.
ზეზეურ დარჩეს, ღვთის მადლსა,
ყელ-გამოჭრილი დანითა,
რომ ფერფლი ჩემის ლეშისა
გადატანილი ქარითა
მიეხლოს იმის ნაშთის ფერფლს
განედლებული ცვარითა.
მზემაცა ნახოს, მთვარემაც,
ცამ ვარსკვლავების ჯარითა,
და გაზაფხულის იამა
მის ანგელოზის თვალითა.

ვაჟა-ფშაველა

### სახალხო ლექსები

(სოფ. მარტყოფის მიდამოში გაგონილი და ჩაწერილი იქაურ სოფლის მასწავლებელთა მიერ).

ქალი ვარ, მქვიან ქალთამზე,
ქალურიც ვიცი ლხინია,
მე საქმროს ვეძებ, რას დავსდევ,
პეტრე ჰქვიან, თუ ნინია!

—

ციდგან წამოვა ღრუბელი,
თავ-თავქვე დაეკიდება...
ლამაზის ქალის სურვილი
ჩემს გულზედ მოეკიდება.

—

ალმა და დალმა დახვია
შავი ღრუბელი ქარმაო,
გადაიშალა, მაჩვენა
თეთრი გულ-მკერდი ქალმაო.

—

ქალო, შენი სილამაზე
უცხო ალაგს მიამბესო,
დავაპირე გადმოფრენა,
მაგრამ ჯაჭვით დამაბესო.

—

ნეტავი, ქალო, მე და შენ
ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეთ,
მაკრატლით დაგვასწორაო.

—

ლამაზმა სთქვა: ბნელს ღამეში
მე არ მინდა ფარანიო;
მე მინდა ბიჭი ისეთი,
პირს არ ესხას ბალანიო.

—

დაილოცე, ქერის პურო,
ანაცერო დიკისაო...
ქალო, შებრალება გქონდეს
პირ-ტიტველა ბიჭისაო.

—

აქამდის გულით გიყვარდი,
ეხლა დამიწყე ძულება,
ნეტავი შემატყობინა
ვინ შეგიცვალა გუნება?

—

წამოდი, ქალო, წავიდეთ
სიმინდის სათოხნელადა...
ლოყები დაგწითლებია
ბიჭების საკოცნელადა.

—

ლამაზო, შენი ჭირიმე,
შენი წითელი ლოყისა...
ჩემთვის რძე გამოგეგზავნა
შენი წითელი ძროხისა.

—

ნეტავ, ქალო, შენმა ქმარმა
აილოს და ქვა დამცესო;
თითონ კლდეზედ გადავარდეს,
შენი თავი მე დამრჩესო.

—

ნეტავ, ქალო, ფიფქი ვიყო,
ხევ-ხევ ჩამოვყვე ნიავსა...
არცა-რა შენ დაგიშავდეს,
არც მე ჩავარდე ზიანსა.

—

ვაი, რა ბედი დავკარგე
გასათხოვარმა ქალმაო,
ჩიქილა ქარმა წამართვა
და შუბლ-საკრავი წყალმაო.

—

ქალო, შენ-კი გენაცვალე,
დატრიალდები ჯარათა;
შენი შეხედულობა ღირს
ერთ გასათხოვარ ქალათა

—

წავალ, წავალ, არ დავდგები,
ამბობს თევზი ორაგული...
ნეტავი, ქალო, ვიცოდე:
ვისგნითა ხარ შენ ორგული?

—

ქალო, შენ-კი გენაცვალე
მაგ ქუჟუნა თვალებშია,
შენის გულისთვის წამოველ
ამ უმთვარო ღამეშია.

—

საკვირველი რამა ვნახე:
მწყერი მიჰქონდა ძერასა...
კაცი ვერსაით წაუვა
თავის ბედსა და წერასა.

—

სიბერ-კაცითა დაველიე
სიყმაწვილისა ლხენია;
თმა გამითეთრდა, მოვხუცდი,
სიტყვა არ ვისგან მწყენია.

—

ლამაზო, შენსა ხვევნის დროს,
ღილი შემაწყდა პერანგსა;
მიპოვნე, გამომიგზავნე,
მაგ შენის ძმების ლხენასა.

—

ქალო, მაღლით იჭყიტები,
გადმოგიგდია კისერი;
ბროლით სავსე გაქვს ყელ-ყური,
შიგ ატანია გიშერი.

—

თვალი გამოგძვრა, თათარო,
ცხენს ფეხი მოგიტეხოო;
რაც რომ შენ ჩემგან წაიღო,
წადი შინ დაიკვეხეო.

—

ბიჭო, ვისი ხარ, ლამაზო,
დიდ გორას აეწონები;
ვინც გნახავს დედათ ნაშობი,
ყველას შენ მოეწონები.

—

მაღლა მთაშია წყარო სდის,
ნარინჯის ფერად გადმოდის;

კანონებ გარეშე: იმიტომ-რომ მისი მოქმედება, მისი შემოღება გააუქმებს დღევანდელ საყოველთაო კანონებს, გააუქმებს ეხლანდელს სამართალს.

ახალ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა პროგრესისტმა ანუ თავისუფალ მოაზრეთა დასის მომხრემ რეიხენშპერგერმა. ამ დეპუტატს შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ნაციონალ-ლიბერალი და მთავრობისკენ ილაპარაკა. ამტკიცებდა, რომ ხანდახან საჭიროა განსაკუთრებულის კანონის შემოღებაო. სახელმწიფო ხშირად ისეთს ყოფაშია, რომ ამ გვარის კანონით უნდა ეცადოს, დაიფაროს თავი და დაიცვას არსებული წეს-წყობილებაო.

კიუნის შემდეგ ილაპარაკა დეპუტატმა ლიბკნეხტმა. მეცა და რეიხენშპერგერიცაო, სთქვა ორატორმა, ერთის აზრისანი ვყოფილვართ კანონ-პროექტის შესახებ, თუმცა ჩვენში საზოგადოდ გარჩევა დიდია. იმანაც სთქვა და მეც ვამბობ, რომ საყოველთაო, საზოგადო სამართალს არ უნდა გადავუხვიოთ, რომ ეს გადახვევა ვერ დაიხსნის ქვეყანას გაჭირებიდამ. იმანაც სთქვა და მეც ვამბობ, რომ ვერ შევიწყნარებთ თავნებობამ ადმინისტრაციისამ დაიჭიროს ადგილი საზოგადო კანონისა და სამართლისა. კიუნიმ ეს არის ეხლა სთქვა, რომ ყოველი წეს-წყობილება ხანდახან საჭიროებს დაცულ იქმნას განსაკუთრებულის კანონითაო. გავკადნიერდები და მოვახსენებ პატივცემულს ორატორს, რომ როცა ჩვენს ხელში იქნება ხელმწიფება, არ წავართმევთ არ თავისუფლებას ლაპარაკისას და არცა თავისუფლებას კრებისას ავკრძალავთ. სამწუხაროდ, ნაციონალ-ლიბერალები მეტად გაუბედავად ხმარობენ თავისუფლებას: რჩეობენ, რომ კარი ჩაიკეტონ და ისე ითათბირონ ხოლმე (ისმის სიცილი). კიუნის ლაპარაკიდამა სჩანს, რომ მაგის დასი თეთრს კენჭს მისცემს კანონს; იქნება იმასაც-კი ეცადოს, რომ ცოტათი შეამსუბუქოს, ზოგში ფრთა მოჰკვეცოს, ცოტა რამ ჩამოფხიკოს და ჩამოაცალოს, მაგრამ რა იქნება: სულ ერთი არ არის განა, ახალის კანონით როდის გააუქმებენ, ვსთქვათ, გაზეთს, ერთის საათისა, თუ 24 საათის შემდეგ? ამბობენ, რომ ახალს კანონზე თვალ-ყური დავაჭერინოთ სასამართლოსაო, მაგრამ ეს ტყუილი ლობე-ყორეს მოდებაა. რაკი კანონი განსაკუთრებულია, ამ ნაირს კანონს არ შეუძლიან არ შეიწყნაროს თვით-ნებობა. თვითნებობა და სამართალი ხომ ისე ვერ უდგება ერთმანეთს, როგორც ცეცხლი და წყალი. უნდა ვიცოდეთ რა იყო პირველი მიზეზი მაგ განსაკუთრებულის კანონის შემოღებისა. 11 წლის წინად, როცა ჰედელმა და ნობილინგმა იმპერატორს მოკვლა მოუნდომეს, მთავრობამ იფიქრა, რომ ესენი სწორედ სოციალ-დემოკრატიის დასისანი არიან და ლაგამი უნდა ამოვდოთ პირში საზოგადოდ ამ დასსაო. წავიდნენ და შემოიღეს კანონი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ჯერ ვადით და ახლა უვადოდაც უნდათ ამოქმედონ ეს კანონი. მაგრამ მაშინ სხვა იყო და ახლა სულ სხვა არის. ეხლა ყველა გულ-მართალი კაცი ჰხედავს, რომ სოციალ-დემოკრატია სულ სხვაა და ის უგუნურნი მეფის მოკვლის გამზრახველნი სულ სხვანი იყვნენ. მათ შორის საერთო არა იყო-რა. ჰედელი უჭკუო კაცი აღმოჩნდა, პასტორ შტეკერის თაყვანის-მცემელი, ხოლო ნობილინგი, ვსთქვათ, კუთნება რომ ყოფილიყო, ისევ ნაციონალ-ლიბერალების დასს თუ ვაკუთვნებდით (ყველანი იცინიან და ხარხარებენ ამ სიტყვებზედ). თავადმა ბისმარკმა მაშინვე დეპეშით მოსწერა სამინისტროს, გაიგო თუ არა ჰედელის ამბავი, გამოეცით განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგაო, და გამოსცეს კიდეც. ბისმარკს უნდოდა, რომ იმ კანონით პირი აეკრა მთავრობის მოწინააღმდეგე დასისათვის, შეისრულა კიდეც თავისი სურვილი. ის კანონი რომ არ შემოეღო მთავრობას 1878 წელს, დღეს პურზე ბაჟი არ იქნებოდა შემოღებული; არ იქნებოდა იმიტომ, რომ ერთს ალიაქოთს ავსტეხდით და შევაწუხებინებდით მაგ ბაჟით. ეგ კანონი რომ არ შემოეღოთ, იუნკრული სურვილები ასეთის სიხარბით არ გაძლიერდებოდა, როგორც დღეს არის გაძლიერებული. აი ამიტომ უნდოდა განსაკუთრებული კანონი თ. ბისმარკს. მაგ კანონით ბევრი კეთილ-განზრახვა მუშებისა ჩაჰკალით, მაგრამ სოციალ-დემოკრატია-კი მაინც ვერ გააწყვეთ. მრავალმა არჩევანებმა ზედი-ზედ დაამტკიცა, რომ სოციალ-დემოკრატია, პირ-იქით, იზრდება, ძლიერდება. პარიჟში ყველა ქვეყნის პროლეტარიატების დელეგატები იყვნენ შემოკრებილნი და ერთ-ხმად აღიარეს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია უძლიერესი და უკეთესად დაწყობილი დასია მთელს ქვეყნიერობაზედაო (ისმის მემარჯვენეთა მხრიდამ ხმა: მთავრობის მადლიერნი უნდა იყვნეთ მაშ, რომ ისეთი კარგი კანონი შემოიღო და ნება მოგცათ გაზრდისა და გაძლიერებისა). პირ-იქით, ქვეყანა ჩვენ უნდა გვიმადლოდეს, რომ გავანათლეთ ბნელი ხალხი, იმისი უმრავლესობა. სხვა ქვეყნებში თქვენი განსაკუთრებული კანონი ანარხიას დაჰბადავდა ხალხში, ჩვენში-კი ერი დამშვიდებულია, დადინჯებულია, დადინჯებულია იმიტომ-რომ იცის, რაც უნდა, ესმის ისტორია და ეყურება აზრი საეკონომიო ურთი-ერთობისა. მოვმართავ თქვენს გრძნობას სამართლიანობისას: განა საკვირველი და საოცარი საქმე არ არის, რომ ათასი და ათი ათასი უკმარობითა და უკმაყოფილებით გამწარებული მაინც ასეთის თავ-დაჭერითა და თავ-შეკავებით იქცევა? მერმისი დაგვანახვებს, რაოდენი თავ-განწირულება, ვაჟკაცობა და უანგარობა გამოიჩინა ამოდენა ხნის განმავლობაში გერმანელმა მუშა-კაცმა. დაგარწმუნებთ, რომ იმის ქცევაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც უდრის და შეეფარდება დიდსა და სახელოვანს ქველობას ლაშქრობისას. თქვენ სულ ის გაკერიათ პირზე, რომ უნდა დავიხსნათ სახელმწიფო, ხოლო განა სახელმწიფო, გერმანია მარტო თქვენა ხართ და თქვენი ამომრჩეველნი? განა სოციალ-დემოკრატები-კი გერმანიის შვილნივე არ არიან? გაგონილა, გერმანიაში მთელი ხელმწიფება, მთელი მთავრობა ცალკე დასად გადაქცეულა! როცა ვესტფალიის მუშებმა გაჰბედეს თავიანთი დაცვა, დაცვა თავიანთის უფლებისა, გაჰბედეს ისე, რომ ერთი მცირედი უკანონობაც არა ჩაუდენიათ-რა, სასამართლოებმა მიუსაჯეს მუშებს სუყველას ერთად 250 წლით დაპატიმრება. ესეც განსაკუთრებულის კანონის შედეგი გახლავთ: სასამართლონი გაწბილდნენ და ამრუდებენ სასწორს სამართლისას. ჩემის თვალითა ვნახე მერე ამ ზაფხულს ლონდონში იქაურის მუშების კრებანი. იმათ აეკვეთნათ მუშაობა და შეეკრათ პირი, ნუ ვიმუშავებთ, ვიდრე დღიური ფასი არ მოგვიმატონო. მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მუშებს არა აქვთ ნება აგრე მოიქცნენ, აეუკრძალოთ კრებანი და პირის შეკვრაო. იქ არავინ არა თრთოდა შიშითა და არ იძახდა: არიქათ, ჯარი, ჯარიო! ასეა საქმე თავისუფალს ქვეყნებში, საცა დაწესებულებანი თავისუფლებით იკვებებიან. ეხლა ჩვენ რა უნდა გადავსწყვიტოთ: შეუძლიან თუ არა გერმანიას, რაც უნდა მოძრაობაში იყოს ქვეყანა, საკონსტიტუციო სახელმწიფოდ დარჩეს, თუ რკინამ, თვით-ნებობამ და ძალ-მომრეობამ უნდა დაიჭიროს ადგილი სამართლისა და წესიერებისა? იმიტომ ვამბობ ამას, რომ ძვირად მიღირს ჩემის სამშობლოს მშვიდობიანი წარმატება. ნუ ჰკრავთ ხელს იმათ, ვინც ქარხნებში მუშაობენ თქვენთვის, ვინც ჰხნავენ და სთესავენ თქვენს მინდვრებს თქვენდავე სასარგებლოდ და ჰღვრიან სისხლს, როცა სამშობლო განსაცდელშია... თქვენი საქციელი ბევრს უბედურებას გვიქადის. რატომ არ გინდათ ქვეყნისა და თქვენის საკუთარის სიკეთისათვისაც დაფიქრდეთ, იზრუნოთ. იცოდეთ, რომ სახელმწიფოს დაღუპვა და გათახსირება უფრო ადვილია, ვიდრე ხელ-ახლად აღდგენა... მოიქეცით ისე, როგორც სინიდისი გამხილებთ ; ჩვენ-კი ვერ შეგვაყენებთ, ჩვენ ჩვენს მოვალეობას არ ვუღალატებთ (ისმის ტაშის-ცემა. მემარცხენენი დაცინვით უწონებენ ლაპარაკს).

## წვრილი ამბები

ჩინეთელებსაც ისეთივე სიყვარული და იჭვიანობა სცოდნიათ, როგორიც ევროპიელებმა იციან. აი ამის შესახებ რა ამბავია მოთხრობილი ჩინეთის ერთს გაზეთში: პროვინციის კვან-ტუნგის სოფ. ჩუნ-ტეს მეჯალარავებულმა და მხცოვანმა მამასახლისმა ტზომ შეირთო მეშვიდე ცოლად (ექვსი ცოლიც ცოცხალი ჰყავდა) ერთი იქაური ლამაზი ქალი, მშობლებისგან შეისყიდა. ამასობაში ქ-ნს ტზონს და იმის ქმრის მმისწულს ერთმანეთი უყვარდათ. მოხუცმა ამ სიყვარულის ამბისა არა იცოდა-რა და თავისს მმისწულს ნება მისცა თავისთან ცხოვრებისა. ახალგაზდებმა, რაღა თქმა უნდა, ისარგებლეს ამ შემთხვევით და დაუახლოვდნენ ერთმანეთს.. მაგრამ ადამიანის ბედნიერება, კარგად მოგეხსენებათ, მარტის დღესავით ცვალებადია და დიდხანს არ გასტანს ხოლმე. რამდენისამე ხნის შემდეგ მოხუცმა შეიტყო ამ ღალატის ამბავი და გადასწყვიტა, რომ სამაგიერო უნდა გადაუხადოვო. ერთს მშვენიერს დღეს თოფი აიღო, ის თოფი, რომლითაც ყვავებსა ჰხოცავდა, გაიხმო ბაღში თავისი მმისწული და უთხრა, რომ აბა, ხეზედ ადი, ყვავებს ბუდე ხომ არ გაუკეთებიათო. ყმაწვილი კაცი როცა ავიდა, ესროლა თურმე ტზომ მირიდგან თოფი, შიგ გულში მოახვედრა და მკვდარი ჩამოაგდო. მოსჭრა თავი, ჯერ ცოლს აჩვენა და მერე იმასაც თავი წააგდებინა. შემდეგ ეს ორივე თავი, ჩინეთის კანონისამებრ, სასამართლოში წარადგინა და განაცხადა, რომ მე დავსაჯე მოღალატენიო. ჩინეთის კანონით, ამისთანა კაცის-მკვლელს სულ მცირე სასჯელს ასდევნებენ, ორმოცჯერ

---

გვერდთ უზის ქალიც ლამაზი,
მუშკ-ამბრის სუნი ამოდის.

—

ქალმა ვაშლი გადმომიგდო,
ამოიღო უბიდანა:
შემინახე ჩემეულად,
არ გადმიგდო გულიდანა.

—

ლამაზ ქალს გარსა ვუარე,
აზრი ვერ ავალებინე;
წითელი ვაშლი ვუგორე,
ხელში ვერ ავალებინე.

—

მინდორსა ცეცხლი მოედო,
მინდორსა უბილბილოსა...
ღმერთო, ნუ მოჰკლავ ლამაზქალს
ლამაზ ქალს უგვირგინოსა.

—

ბიჭო, პირი მოგიპარსავს,
სალამაზოდ კისერიო;
რატომ არ დაინიშნები,
შე უჯიგრო, ვის ელიო?

—

მანამ სად იყავ შენ, ბიჭო,
ქალი რომ ვიყავ დროსანი;
ახლა-კი ქმარი შევირთე
ლაღი და მოლაშქროსანი;
შვიდს შეჰკრავს შენისთანასა
ტიტველი, პერანგოსანი.

—

ქალ, შენეული ბარათი
ვერ ვნახე ამის მეტადა,
წავიკითხე და დამადგა
გულზედ ნათელი სკეტადა.

—

ლამაზო, შენი ჭირიმე,
შენის დაწნულის თმისაო;
ბიჭი რომ გეხუმრებოდეს,
სიცილი მოგდის პირსაო.

—

ვინც მოჰკლავს კოხტა ბელადსა
ნეტავი იმის დედასა;
აისხავს თოფ-იარაღსა,
ეწევა გულის ნებასა.

—

შენ, ვარდო, გუშინ-წინადა
დედა რას გესარჩლებოდა?
—დავკარგე საყურ-ბეჭედი,
მცემდა და მემართლებოდა.

თუშური ლექსი

თუში ვარ, მაგრამ კაცი ვარ,
კიდე ვჯობივარ ფშაველსა;
ფეხს დავკრავ, გადავერევი
ბახტრიონს გალავანზედა;
ასი მომიკლავს ბელადი,
ზედ მიწერია ხმალზედა.
თუ მომკლენ, არას ვინაღვლი,
სისხლს დაღვრიან, განა რძესა,
მაგრამ კიდე იმედი მაქვს
ჩემი სიათა-თოფისა:
შიგ მიძევს ტყვია იმედად,
მტრის გულზედ დასასობელად.

—

თილიძე ხოშორს ჩავიდა,
დიდ-გულად დასდო მხარია;
შემოეხვივნენ ფშავლები,
როგორც რომ ბატონს ყმანია:
შენ, თუშო, აქ რად მოხველი,
დიდი ჰქენ ცოდო-ბრალია,
ყმაწვილის კალო გალეწე,
ზედას ადინე ალია.
„ჯერ დამაცალეთ, ფშავლებო,
მაფიცეთ თქვენი ჯვარია,
უბის თავს ვათეთრებინო,
ლურჯას ვასმიო წყალია“.

—

თუშო ნუ ჩახვალ ხოშორას,
ხოშორა ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ,
იქით გადასვლა ძნელია:
იქ დაგიხვდების გიორგი,
გიორგი ეტლიანია.

—

გაღმიდამ წვიმა მოვიდა,
გამოღმა ვარდი დანამა..
ქალო, შენის სიყვარულით
გული მომიკლა დანამა.

—

ხემ გამოისხა ხილი...
რაც მამა იყო, ის შვილი.

—

ნეტავი შემატყობინა:
მამა-პაპანი რა ქმნილან?
დალეწილა ნასახლარები,
ზოგი სულ წმინდად აყრილან...
ან საყვარელი ცოლ-ქმარნი
უდროოთ რისთვის გაყრილან!
ამ ქვეყნად აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შექმნილან?

—

ერთმა მტრედმა სიმშვიდითა
ელურსამეთს კოშკი დადგა,
ზედ საყდარი ააშენა,
ქვეშ მირონის გუბე დადგა;
ოც-და-ხუთმა პატრიარქმა
ბარძიმებზე პირი დადვა.
იმის მადლი შეგვეწიოს,
საცა მღვდელის წირვა დადგა.

—

ობოლი დედამ გაზარდა
ქრისტიანობით სრულია,
მან თავის მეფეს მიართვა
ახალ წვერ ამოსულია.
მეფემ დიდად შეიყვარა,
ვით კაცი, თვისი სულია,
ჯარის თაობა უბოძა,
მტერზედაც გულ-მოსულია;
სადაც მიუხდა, დახოცა,
ვით ვაზის რქანი სხლულია.

—

წიგნს დავწერ, გამოგიგზავნი,
ვარდო, გაშლილო ველადა;
სოსანმა ვარდმა შეგამკოს,
ნარგიზმა ათას ფერადა.
სად მოიცალა იმ ღმერთმა
შენის თვალ-წარბის წერადა;
ან სად იშოვა მხატვარი,
დაგხატა ათას ფერადა.

—

წიგნს დავწერ, გამოგიგზავნი,
სურვილებისა იაო;
ნეტავი შენთან მამყოფა,
მრავალ ჯერ მინატრიაო.

—

ვაჟკაცო, როგორ არ გაქებ,
რომ შემოგხედავ ტანზედა;
ივანე ნათლის-მცემელი
გიდგა მარჯვენა მხარზედა.
ჯარში წახვიდე საომრად,
შენს ხმალს გაჰქონდეს პრიალი;
მშვიდობით გამოსულიყო,
რომ არ მოგვსვლოდეს ზიანი.
ისევ შენ გენაცვალება
ციციან-ბაგრატიონი!
მინამდის ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ მთვარე და მზე არი.

—

ბამბამ უთხრა აბრეშუმსა:
შენ ჩემზედ მეტი რა ჰქენი?
გლეხი კაცი გავამდიდრე,
ფეიქარსაც დავსდე ფერი.
ერთმა კაცმა მოინდომა
ერთი შაიდიში შენი,
სახლის ავეჯი გაყიდა,
არა ჰქონდა ფასი შენი.

ოდნავ არტყა-გვნწკვპლას ორივ ხელის გულზედ, ხოლო შემდეგ ფულად საჩუქარს აძლევენ, რომ უზნეობას სდევნი და ოჯახის კერის სიფაქიზეს უფრთხილდებიო. ამასობაში მოსამართლემ ეჭვი შეიტანა თურმე, გამოიძია ეს საქმე და, ამ გამოძიების თანახმად, ტზო მაშინვე დაატპატიმრებინა და ბრალად დასდო, რომ ორი ადამიანი მოგიკლავს ადრევ მოსაზრებულის განზრახვით და არა ღალატის გამოვო.

— ჩრდილოეთ ამერიკის შტატს ინდიანში ორი ოჯახი სცხოვრობს თურმე და ერთმანეთში აჩირებული ნათესაობა აქვთ. საქმე იმაშია, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ვიღაც ქვრივ კაცს გორგანს, დასანიშნავ ვაჟიშვილის მამას. შეურთავს ერთი ქვრივი დედაკაცი, გასათხოვარ ქალიშვილის დედა. რამდენისამე წლის შემდეგ ცოლ-ქმარნი გაჭყრიან ერთმანეთს. გორგანის შვილს ნადედინაცვლარი შეურთავს, ხოლო ამ დედაკაცის გასათხოვარი ქალი თავისს ნამამინაცვლარს მისთხოვებია. ამ ორივე ცოლ-ქმარს ეხლა შვილები ჰყავთ. ამ უმაწვილების ნათესაობაზედ რომ არა ითქვას-რა, მაინც გამოდის, რომ მოხუცი გორგანი სიძეა თავისის შვილისა და ნაცოლარისა, ხოლო ამავე დროს მამინაცვალია თავის ცოლისა; ახალგაზდა გორგანი სიმამრია თავის მამისა, მამინაცვალი თავის დედინაცვლისა (მამის მეორე ცოლისა) და ქმარი თავის ნადედინაცვლარისა, იმ ნადედინაცვლარისა, რომელიც თავის მხრით სიდედრია თავის პირველის ქმრისა, ამასთან რძალია იმისი და თავისის ქალიშვილისა, რადგან ეს ქალიშვილი თავის დედის დედამთილია.

◆◆

# დეპეშა

3 ნოემბერი

პეტერბურგი. პირველ ნოემბრიდამ დაიწყო მოქმედება ფოსტა-ტელეგრაფის დამზოგველმა კასებმა: ნოვგოროდში, ბოროვიჩებში, ლიუბანში, ოკულოვკაში, სტარაია რუსაში, ბეჟეცკში, ვიშნე-ვოლოცკში, რჟევში, სტარიცკში და ტორჟოკში.

გუშინ გარდაიცვალა პროფესორი მედიცინისა ეიხვალდი.

„Нов. Вр.“ ამბობს: ფრიად სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ გერმანიაში მაღლა იწევს ფასი შვრიისა და სიმინდისა, ხოლო ფასი არჯანოვის პურისა კლებულობსო.

„День“-ი ამბობს, რომ ჩინის ბოძების წესი აფიცრობაში შეიცვლება 1 იანვრიდამაო: ობერ-ოფიცერის ჩინში ყველას მიეცემა შემდეგი ჩინი ყოველ ოთხსავე წელიწადში ერთხელ ვაკანსია თუ არის, როგორც ეხლა; ხოლო თუ ვაკანსია არ არის, რაც ოთხს წელიწადზე მეტს იმსახურებს, შემდეგის ჩინის მისაღებ სამსახურში ჩაეთვლებაო. ამის გარდა ეს მეტი წელიწადები სამსახურისა მიემატება საპენსიო წელიწადებს და მნიშვნელობა ექმნება სამსახურიდამ გამოსვლის დროსაო.

ათინა. პალატამ დაასრულა განხილვა კრიტის შესახების საქმისა და 72 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 54 გამოაცხადა, რომ ვენდობით სამინისტროსაო.

ჩარჯუი. რუსეთის აგენტი ბუხარაში შუამდგომლობს, რომ გაიხსნას გზა ტრანზიტით კავკასიაზე ინგლის-

ინდოეთის საქონლისათვის: კისაიისათვის, რომელიც დოლბანდებისათვის იხმარება, ინდოეთის ჩაისა, ილისა და ფარჩისათვის. ყოველ ამ საქონელს დაედოს ბაჟად უზუნ-ადას საბაჟოში $1\frac{1}{2}$% იმისი, რაც ქალალდის ფულად ეღირება საქონელიო.

პრაღა. ჩეხის სეიმმა გადასწყვიტა, რომ გერმანელ დეპუტატებს ჩამოერთვათ მათი სადეპუტატო უფლებანიო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ნოემბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 59 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა | — „ | — „ | $233\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

გამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.

| | | |
|---|---|---|
| პური 1-ის ხარისხისა. | | $3\frac{1}{2}$ |
| „ 2 „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | | 5 „ |
| „ „ 2 „ | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | $3\frac{1}{2}$ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 „ |
| მე-3 — | | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 „ |
| ღორის ხორცი | | „ „ |
| „ 2 „ | „ | „ „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი სახალხო კალენდარი 1890 წ.

ფასი ორი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაუთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაუთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაუთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაისადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ჯალალოვის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“ | „ | 50 |

დაზღვევა სიცოცხლისა

ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით

„რუსეთი“

უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა

ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი“ დაზღვია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვევათა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ-გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართველობას პეტერბურგს, Большая морская, № 13. ტფილისის აგენტებს ე. ლ. პოტკოევსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა სააგენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თავ. მელიქოვისა, ირაკლი-გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—10)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უდნა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 4-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.